

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის

მღვდელმთავართა სინოდი

Br. 4

6 თებერვალი, 2019

ბელგრადი

მის უწმინდესობას,

კონსტანტინოპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოსს,

მსოფლიო პატრიარქს,

კირიე კირიე ბართლომეოსს

ფანარი. კონსტანტინოპოლი

*თემა: 2018 წლის 24 დეკემბრით დათარიღებული თქვენი წერილი (№1119), რომელიც ეხება უკრაინაში თქვენ მიერ აღსრულებულ ქმედებებს*

თქვენო უწმინდესობავ,

მივიღეთ თქვენი უწმინდესობის ამა წლის 24 დეკემბრით დათარიღებული წერილი (No. 1119), რომლითაც ინებეთ შეგეტყობინებინათ ჩვენი სიმდაბლისთვის ის, რაც თქვენ ახლახანს მოიმოქმედეთ უკრაინაში ეკლესიის პრობლემებთან დაკავშირებით და მოგვმართეთ თხოვნით, რომ პირადად მე და ჩვენმა ეკლესიამ გავიზიაროთ იმ ქმედებები და ზომები, რაც თქვენ აღასრულეთ; - ჩვენ გპასუხობთ

საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, ჩვენი მოვალეობისა და სინდისის კარნახით.

თუმცა შეგახსენებთ, რომ თქვენ ამის შესახებ ადრეც გვაცნობეთ და მაშინ ჩვენ, ყველა ავტოკეფალური მოძმე ეკლესიის რეაგირებამდე, ჩვენი პოზიცია ჩამოვყალიბეთ, რაც ერთხმად მიიღო ჩვენმა სამღვდელმთავრო კრებამ, - რათა პატივი გეცათ ჩვენი პოზიციისთვის, მაგრამ თქვენი მხრიდან ამას მოყვა მძიმე დუმილი, - თქვენ ჩვენი წერილის მიღებაც კი არ დაგვიდასტურეთ.

მსგავსად ამისა, თქვენ სრული იგნორირება გააკეთეთ ჩვენს პროტესტზე, უფრო სწორად, ჩვენი წმიდა სინოდის აგონიურ ყვირილზე. ბოლოს და ბოლოს, როდესაც ჩვენ ორნი ერთმანეთს შევხვდით თესალონიკში, მაშინ ჩვენ ძმურად გირჩიეთ, - არ აჩქარდეთ და ყური დაუგდეთ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა წინამძროლების უმრავლესობის ხმას, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი უნდა გახდეს შესწავლის და პანმართლმადიდებლური მსჯელობის საგანი და ამ გზით უნდა გადაწყდეს ყოველივე, და არა ცალმხრივად და თქვენი პირადი შეხედულების მიხედვით.

თქვენი თხოვნის საპასუხოდ, თქვენო უწმინდესობავ, ჩვენ არ ვწყვეტთ თქვენ მიერ წამოყენებულ უსუსურ და დაუსაბუთებულ არგუმენტაციებზე მითითებას, რომლებიც, თუ გნებავთ, გაამართლეთ და დაასაბუთეთ ზემოაღნიშნული პროცედურებით თქვენი მხრიდან.

პირადად თქვენი და თქვენი წმინდა სინოდის მითითებული ქმედებების გამო, ჩვენმა სამღვდელმთავრო კრებამ უკვე გააკრიტიკა ეს, ჩვენი ეპისკოპოსების წერილში. მიუხედავად იმისა, რომ გამოჩნდა უფრო

დამაჯერებელი ახალი მონაცემები მთელ ამ საქმეში, მეტად აღარ გვსურს, ვაკეთოთ კომენტარები და პირდაპირ გადავდივართ ჩვენი პოზიციის და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე მთელ ამ საკითხთან დაკავშირებით:

1. ჩვენ არ ვაღიარებთ თქვენს დასაბუთებას და მიგვაჩნია, რომ თქვენ მიერ მოხდა ანტიკანონიკური შეჭრა რუსეთის ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე, ვინაიდან კვივის მიტროპოლია არ შეიძლება გაიგივებულ იქნას დღევანდელ "უკრაინასთან", რადგან იგი ასევე შეიცავს ათობით სხვა ეპარქიასაც; გარდა ამისა ეს ეკლესია 1686 წელს გადაეცა დასაცავად მოსკოვის საპატრიარქოს, რაც გამომდინარეობს თქვენივე ტექსტებიდან - დიონისე IV-ის წინამორბედისა და მისი მემკვიდრეების განცხადებებიდან, ოფიციალური წერილებიდან - "ტაქტიკონიდან", "სინტაგმატიონიდან", "დიფტიხიდან", „იმეროლოგიონიდან“ და „ეპატირიდან“, რომლებიც გამოსცეს არა მარტო სხვა ადგილობრივმა ეკლესიებმა, არამედ ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, - დაბოლოს, თქვენივე განცხადებებიდან და ოფიციალური საეკლესიო ურთიერთობებიდან გასული წლის აპრილამდე.
2. გარდა ამისა, ჩვენ არ დავუშვებთ უკრაინელი სქიზმატების ხელოვნურ "კონფედერალიზაციას" (რომლებიც უკვე ხელახლა შეუდგნენ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას და

შეუჩერებლად მიისწრაფვიან დაშლისკენ) და არც მათი "კონფედერაციის" გამოცხადებას "უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიად", ვინაიდან ის არ არის კანონიკური და ფაქტობრივად თავს მოხვეულია იძულების წესით. სქიზმატები კვლავაც სქიზმატებად დარჩნენ. განხეთქილების მოქმედი - მუდამ სქიზმატია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის მოექცა და გულწრფელად და სიღრმისეულად მოინანია. ერთადერთი ეკლესია, რომელიც ჩვენ ვიცით და რომელსაც ვაღიარებთ, არის უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც მეთაურობს მისი უნეტარესობა ონოფრე, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი.

3. გარდა ამისა, ჩვენ არ ვაღიარებთ კიევის გაერთიანებულ კრებას, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის არც ერთ კანონიკურ მღვდელმთავარს (ვინაიდან, მცირე ხნით ადრე, თქვენს ეკლესიაში მიიღეთ ალექსანდრე დრაბინკო და ვინნიცელი სიმეონი, კანონიკური ეკლესიიდან განტევების გარეშე). მთელი ეს სცენარი, სცენების განვითარების მთელი ეტაპობრივი გრაფიკი და ყველაფერი, რაც ამ უცნაური კრების სურათის მიღმა დარჩა, - ყოველივე ამას და კიდევ რაიმე უფრო რთულს, მოდით, ნუღარ შევხებით - ეს თქვენთვის უკეთაა ცნობილია, ვიდრე ჩვენთვის; ასე რომ,

პატივი მიაგეთ ამ ღუმელს! ჩვენი აზრით, ეს არის იძულებით შემაკავშირებელი ფსევდო-კრება, რომელიც ჰყოფს და აზიანებს ამ უბედურ ქვეყანას და რომელმაც კიდევ უფრო დიდი უფსკრული გააჩინა უკრაინის საზოგადოებაში გაუცხოებისა და დაშლის თვალსაზრისით. ყოველივე ამის გამო, ეს გადაწყვეტილებები ჩვენ არაკანონიკურად და ბათილად მიგვაჩნია და, შესაბამისად, ჩვენი ეკლესიისთვის ეს არ არის სავალდებულოდ მისაღები.

4. ჩვენ არ ვაღიარებთ, სქიზმატების იერარქიას მართლმადიდებელ იერარქიად და არც სქიზმატურ სამღვდელოებას მართლმადიდებელ სამღვდელოებად, - ვინაიდან დენისკოს დაჯგუფების წევრებმა თავიანთი „საეკლესიო ხელდასხმა“ მიიღეს იმედგაცრუებული, ეკლესიიდან განკვეთილი და ანათემირებული მღვდელმთავრისგან (ეს ის ფაქტია, რომელიც თქვენც, თავის დროზე, ოფიციალურად აღიარეთ), ხოლო მალექტიჩის დაჯგუფების წევრებს კი საერთოდ არ აქვთ ხელდასხმის სამოციქულო მემკვიდრეობა და, ამრიგად, - არ ჰყავთ სამღვდელოება. არც ერთი წერილობითი აქტი, თქვენო უწმინდესობავ და ჩვენო ჭეშმარიტად საყვარელო ქრისტესმიერო ძმაო, - როგორც ხალხში იტყვიან, "კალმის ერთი გაფხაჭნვით" - შეუძლებელია გარდააქციოთ ის, რაც მოხდა, - იმად, რაც არ

მომხდარა და ამასთან, - ვერც რაღაც ისეთად გარდაიქცევა, რაც არ არსებობს. მაშასადამე, ჩვენ არ ვაღიარებთ, რომ ბატონი დუმენკო (რომელსაც ეწოდა ეპიფანე) არის მღვდელმთავარი და ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური (აღსანიშნავია, რომ ეს წოდება ვერ ექნება ვერც მას და ვერც მის "სულიერ მოძღვარს", ბატონ დენისენკოს, და მით უმეტეს, ტიტული - "პატრიარქი სიციციხის ბოლომდე").

5. დაბოლოს, ჩვენ იძულებული ვართ მოვიქმოქმედოთ ეს კანონიერ საფუძველზე: ჩვენი ეკლესიის მაღალყოვლადუსამღვდელოეს მღვდელმთავრებსა და პატიოსან მამებს ევალებათ არ იქონიონ ევქარისტიული და ლიტურგიკული ერთობა არც ზემოხსენებულ ბატონ ეპიფანე დუმენკოსთან, არც მის იერარქიასა და სამღვდელოებასთან და ასევე არც იმ იერარქებთან და სასულიერო დასთან, ვინც იმყოფება მათთან ლიტურგიკულ კავშირში. ვინც მათთან ასეთ კავშირში შევა, ის განვარდება საეკლესიო კანონიკური ერთობიდან.

\*\*\*

დასასრულს, ვასაჩივრებთ და ვწუხვართ ჩვენი წმიდა მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესიის ერთობის დარღვევის გამო და კიდევ ერთხელ უმორჩილესად გთხოვთ, ვლოცულობთ და უფალს

ვავედრებთ, თქვენო უწმინდესობავ, - გადახედეთ თქვენს საკუთარ უწინდელ გადაწყვეტილებებს და აღადგინეთ წინათ არსებული ღვთივკურთხეული სიყვარული და ერთობა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის, რომელიც არაფერით არ არის უფრო ფასეული, ვიდრე სიყვარული, მშვიდობა და ერთობა ძმათა შორის.

კვლავაც ვრჩებით სიყვარულითა და პატივისცემით,  
თქვენი ქრისტესმიერი ძმა,

სერბეთის პატრიარქი,  
პეჩის მთავარეპისკოპოსი,  
ბელგრადისა და კარლოვის მიტროპოლიტი,

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის  
წმინდა სინოდის თავმჯდომარე

ირინეოსი